საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 375 2020 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“:

1. მე-2 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების ეპიდემიოლოგიური კონტროლისა და კარანტინის წესები მტკიცდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.“.

2. მე-2 მუხლის 8[1] პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8[2] პუნქტი:

„8[2]. საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილდება ტრანზიტულად და საქართველოს საზღვარს კვეთს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტით ან საქართველოს საზღვარს კვეთს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მაგრამ დასტურდება, რომ იგი იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა, საქართველოში შემოსვლის შემდეგ ექვემდებარება ახალ კორონავირუსზე (SARS-CoV-2) სწრაფ მარტივ ტესტირებას ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 18 ივნისიდან წარმოშობილ სანართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**